

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა: სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია Social and Cultural Anthropology
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორი PhD in Social and Cultural Anthropology
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	3-5 წელი (6-10 სემესტრი), 60 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი	თამთა ხალვაში, პროფესორი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2019 წელს და განახლდა 2021 წელს. გაუჯობესებების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის შესაძლებელია პროგრამის განახლება.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
<ul style="list-style-type: none"> • მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში; • ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში კანდიდატის მიერ შესრულებული წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და მის მიერ სამეცნიერო - კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი; • წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე დადასტურების მიზნით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი/შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი*; • სადოქტორო კვლევითი განაცხადი; • ზეპირი გამოცდა. 	
<p>* უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.</p> <p>დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების, ვადების, წარსადგენი დოკუმენტების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურების და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge, ასევე სადოქტორო პროგრამის, „სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია“ ვებ-გვერდზე: https://anthro.iliauni.edu.ge/</p> <p>ინფორმაცია დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების შესახებ იხ. ქვემოთ, სადოქტორო პროგრამის დახასიათებაში/კონცეფციაში, ხოლო სადოქტორო კვლევის განხორციელებისთვის მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმების შესახებ - სწავლისათვის აუცილებელ დამხმარე პირობებში/რესურსებში.</p>	
პროგრამის მიზნები	
<p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მკვლევრები, რომლებიც შეძლებენ პროგრამის ერთ-ერთი კვლევითი მიმართულებით (ურბანული ანთროპოლოგიის, რელიგიის ანთროპოლოგიის, პოლიტიკური ანთროპოლოგიის, ეკონომიკის ანთროპოლოგიის, სამედიცინო ანთროპოლოგიის, ვიზუალური ანთროპოლოგიის) ახალი ცოდნის შექმნას დამოუკიდებლად განხორციელებული გრძელვადიანი ეთნოგრაფიული კვლევის საფუძველზე; მოახდენენ ამ ცოდნის</p>	

ტრანსფერს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის დონეზე; მომზადებულები იქნებიან წარმატებული კარიერისთვის, როგორც აკადემიურ, ისე საჯარო, არასამთავრობო ან კერძო სექტორებში. მნიშვნელოვანია, რომ ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, პროგრამა ქმნის პლატფორმას ადგილობრივ და საერთაშორისო მკვლევრებთან დიალოგში დოქტორანტების ჩართვისა და მათი დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის.

პროგრამის კონცეფცია

სოციალური და კულტურულ ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია, სტუდენტები ჩართოს სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის მიმართულებით თანამედროვე ცოდნის შექმნასა და განვითარებაში. პროგრამა წინა პლანზე აყენებს გრძელვადიანი ეთნოგრაფიული კვლევის ტრადიციას, თანამედროვე გლობალური პრობლემებისადმი კრიტიკულ თეორიულ და ინტერდისციპლინურ მიდგომებსა და რეგიონული თუ ადგილობრივი ისტორიით ნასაზრდოებ ანალიზს. ამიტომ პროგრამა ეფუძნება ეთნოგრაფიული კვლევისა და სწავლების თანამედროვე თეორიებსა და მეთოდებს. ანთროპოლოგიის მიმართულებით ასეთი პროგრამის შექმნა გადაუდებელი ამოცანაა, ვინაიდან საჭიროა ქართული ანთროპოლოგიური ცოდნისა და ტრადიციის გაღრმავება და განვითარება.

პროგრამის კვლევის არეალს წარმოადგენს ისეთი მიმართულებები, როგორც არის: პოლიტიკური ანთროპოლოგია, ურბანული ანთროპოლოგია, რელიგიის ანთროპოლოგია, სამედიცინო ანთროპოლოგია, ვიზუალური ანთროპოლოგია, ეკონომიკის ანთროპოლოგია. პროგრამაში ჩართული პროფესორები კვლევებს ამ და სხვა მიმართულებებით აწარმოებენ.

სადოქტორო პროგრამის ამოცანაა სტუდენტებთან ერთად გააღრმავოს და გააფართოვოს ანთროპოლოგიური კვლევის როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო საზღვრები. ის ორიენტირებულია საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და მეცნიერებთან თანამშრომლობით შექმნას კვლევის ინოვაციური გარემო ანთროპოლოგიურ კვლევებში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების, სალექციო კურსებისა და ვორკშოპების საშუალებით.

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით (კოპენჰაგენის უნივერსიტეტი, ნიუ იორკის უნივერსიტეტი, ტრენტის უნივერსიტეტი, კენტის უნივერსიტეტი, ოსლოს უნივერსიტეტი და არჰუსის უნივერსიტეტი).

პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან, იყენებს მის მიერ შექმნილ ყველა რესურსს, მათ შორის - დოქტორანტს აძლევს უცხოელი ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ყოლისა და ორმაგი ხარისხის მოპოვების შესაძლებლობას კოტუტელის ფორმატის ფარგლებში.

პროგრამა ეფუძნება სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დარგში წარმატებულ საერთაშორისო გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფილია საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს არსებობით. საბჭო უზრუნველყოფს:

- პროგრამაში ჩართული დოქტორანტების ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელობას;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განვითარებას;
- კვლევითი უნარების განვითარებას სხვადასხვა ვორკშოპებით და კურსებით;
- დოქტორანტების ხელშეწყობას სამეცნიერო ნაშრომების მომზადებასა და გამოქვეყნებაში საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალებისთვის;
- სადოქტორო კურიკულუმის განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე საჭიროების შემთხვევაში გარე რეფერირებას;
- ქართველი მეცნიერების და დოქტორანტების ჩართვას მსოფლიო სამეცნიერო ქსელში.

ექსპერტთა საბჭოს წევრები არიან:

1. სრული პროფ. ბრუს გრანტი - ნიუ იორკის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტის თავჯდომარე (კვლევითი მიმართულება: კავკასია, პოსტ საბჭოთა ქვეყნების ანთროპოლოგია, კულტურული ისტორია, რელიგია, პოლიტიკა)
2. ასოცირებული პროფ. პოლ მენინგი - ტრენტის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტი (კვლევითი მიმართულება: ლინგვისტური ანთროპოლოგია, ისტორია, სემიოტიკა, ურბანული ანთროპოლოგია, პოლიტიკური ანთროპოლოგია, კოლონიალიზმი, კავკასია, საქართველო)

3. სრული პროფ. ჟოაო პინა-კაბრალი - კენტის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიისა და კონსერვაციის დეპარტამენტი (კვლევითი ინტერესები: რელიგია, სიმბოლოზში, ძალაუფლება, ეთნოგრაფიული მეთოდოლოგიის ისტორია, ეთნიკურობა კოლონიურ და პოსტკოლონიურ სივრცეებში)
4. სრული პროფ. ვალენტინა იზმირლიევა - კოლუმბიის უნივერსიტეტი, სლავური კვლევების დეპარტამენტი (კვლევითი ინტერესები: ბალკანური და რუსული რელიგიური კულტურები, იმპერიები, ისტორია, ლიტერატურა)
5. სრული პროფ. ანე მენელი - ტრენტის უნივერსიტეტი, ანთროპოლოგიის დეპარტამენტი (კვლევითი ინტერესები: შუა ადმოსავლეთი, არაბეთის ნახევარკუნძული, იტალია, რელიგია და მსოფლიო ხედვა, განსხვავება, გენდერი, ეთნოგრაფიული მეთოდები და ანთროპოლოგიის ისტორია)
6. კატრინ გოთფრედსენი, უფროსი ლექტორი - მალმოს უნივერსიტეტი, კავკასიის კვლევის პროგრამა (კვლევითი ინტერესები: პოლიტიკური ტრანსფორმაცია, გაურკვევლობა, რელიგია, ისტორია, იდენტობა, მორალურობა, პოლიტიკური ფორმები და პრაქტიკები)
7. ასოცირებული პროფ. მარტინ დემანტ ფრედერიკსენი - ოსლოს უნივერსიტეტი, ანთროპოლოგიის დეპარტამენტი (კვლევითი ინტერესები: ახალგაზრდობა, ნიჰილიზმი, კრიმინალი და კორუფცია, ურბანული განვითარება და ინფრასტრუქტურა, დრო და მატერიალურობა)
8. ასოცირებული პროფესორი, მარია ლოუ - არჰუსის უნივერსიტეტი, ანთროპოლოგიის დეპარტამენტი (კვლევითი ინტერესები: რელიგია, შუა აზია, ათეიზმი, მორალურობა, სუფიზმი)
9. მკვლევარი, ლელა რეხვიაშვილი - ლაიბნიცის რეგიონული გეოგრაფიის ინსტიტუტი (კვლევითი ინტერესები: პოლიტიკური ეკონომია, პოსტ სოციალისტური ტრანზიციის არაფორმალური ეკონომიკური პრაქტიკები, სოციალური მოძრაობები)
10. სრული პროფესორი, ელიზაბედ ქალენ დანი - ინდიანას უნივერსიტეტი ბლუმინგტონში, გეოგრაფიის დეპარტამენტი (კვლევითი ინტერესები: იძულებითი მიგრაცია, ჰუმანიტარიანიზმი, კვების ანთროპოლოგია, ადმოსავლეთ ევროპა, კავკასია)
11. ნინო აივაზიშვილი - გენე, ბოხუმის უნივერსიტეტი, სოციალური ფსიქოლოგიისა და სოციალური ანთროპოლოგიის განყოფილება (კვლევითი ინტერესები: მოქალაქეობა, უმცირესობები, საზღვრის ანთროპოლოგია, კავკასია, აზერბაიჯანი, საქართველო)
12. მათიას პელკმანსი - ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლა, ანთროპოლოგიის დეპარტამენტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი (კვლევითი მიმართულება: კავკასია, შუა აზია, საზღვრების ანთროპოლოგია, პოლიტიკური ანთროპოლოგია, რელიგიის ანთროპოლოგია)
13. ფრანცისკო მარტინეზი - ტალინის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (კვლევითი მიმართულება: მატერიალური კულტურა, ეთნოგრაფიული ექსპერიმენტები, შეკეთება, პერიფერიები)

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევის პროფილები იხილეთ ბმულზე: <https://shorturl.at/EpjR6>

სწავლის შედეგები

დოქტორანტს შეუძლია:

- სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ერთ-ერთი კვლევითი მიმართულების (პოლიტიკური ანთროპოლოგია, რელიგიის ანთროპოლოგია, ურბანული ანთროპოლოგია, სამედიცინო ანთროპოლოგია, ეკონომიკის ანთროპოლოგია, ვიზუალური ანთროპოლოგია) ფარგლებში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება, დარგობრივი და ინტერდისციპლინური ცოდნის შეჯერებითა და თანამედროვე თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების განვითარებით.
- კვლევის შედეგების საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვა და ცოდნის გავრცელება სხვადასხვა საჯარო თუ სამეცნიერო ღონისძიებების ფორმატში.
- სამეცნიერო ეთიკის მაღალი სტანდარტებით კვლევის ჩატარება.
- ცოდნის ტრანსფერი სააუდიტორიო სწავლების პროცესში.
- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე, კვლევის შემდგომი პროცესებისა და ახალი იდეების განვითარება.

პროგრამის სტრუქტურა

სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი, გამოაქვეყნოს 2 სტატია, რომელთაგან მინიმუმ ერთი, უნდა იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში (სტატიებთან დაკავშირებული მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში) და დაიცვას სადოქტორო ნაშრომი. პროგრამის სტრუქტურა მოცემულია ცხრილის სახით.

ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამა სთავაზობს დოქტორანტებს სხვადასხვა ტრენინგს, რომელიც ადმინისტრირებულია პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამაზე სწავლის პერიოდში, დოქტორანტებმა უნდა აირჩიონ მინიმუმ 2 ტრენინგი. დოქტორანტებს ტრენინგი გავლილად ჩაეთვლებათ, თუ ისინი დააკმაყოფილებენ არჩეული კომპონენტის ყველა მოთხოვნას.

კომპონენტები	სემესტრები										ECTS	
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10		
სავალდებულო კურსები/კომპონენტი - 36 კრედიტი												
სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის თეორიები												12
ფიქრისა და კვლევის ანთროპოლოგიური მეთოდები												12
ასისტირება*												6
Writing for Academic Publication**												6
სადოქტორო კოლოკვიუმები												-
კვლევითი სემინარი ანთროპოლოგიაში												-
პროსპექტუსი												-
სადოქტორო ნაშრომი***												-
სავალდებულო-არჩევითი კურსები - 18 კრედიტი												
Methods of Fieldwork												6
ეკონომიკის ანთროპოლოგია												6
სამედიცინო ანთროპოლოგია												6
რელიგიის ანთროპოლოგია												6
აფექტი: სხეულისა და განსხეულების ანთროპოლოგია												6
თანამედროვე თეორიული მიდგომები ანთროპოლოგიაში												6
პოლიტიკური ანთროპოლოგია: ძირითადი დებატები (ENG)												6
არჩევითი კურსები - 6 კრედიტი												
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში												6
Surroundings: Approaches, Insights, and Challenges of Environmental Anthropology												6
ასისტირება**												6
კავკასიის ანთროპოლოგია												6
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი												6
ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები												
კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა												-
სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, სწავლებაში თანამედროვე მეთოდების გამოყენება												-
გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება												-
ტრენინგი: საპროექტო წინადადების მომზადება												-
სტუდენტთა აქტიურობის შეფასების პრინციპები და ინსტრუმენტები												-
აქტიური სწავლება ამობრუნებულ გაკვეთილზე												-
ორგანიზაციული მართვისა და ლიდერობის ტრენინგი												-
ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში												-
სწავლების ეფექტიანობის გაზრდა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით												-
სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური სხვა ტრენინგ კურსი												-
												სულ 60

**კვლევითი ასისტირებისას დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი.*

***Writing for Academic Publication დოქტორანტს შეგროვებული უნდა ჰქონდეს მონაცემები და მუშაობდეს პუბლიკაციაზე.*

****სადოქტორო ნაშრომის წარდგინება დაცვისთვის შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესრულებისა და პუბლიკაციის ან პუბლიკაციაზე თანხმობის წარდგენის შემდეგ.*

შენიშვნა: დოქტორანტის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, მან შეიძლება გაიაროს სამაგისტრო საფეხურის რელევანტური კურსები კრედიტის გარეშე.

სადოქტორო კოლოკვიუმების სერია იწყება სწავლების პირველი სემესტრიდან. მისი მიზანია, უზრუნველყოს დოქტორანტების კვლევითი პროცესის სისტემატიზაცია და შედეგზე ორიენტირებულობა, დოქტორანტისთვის მის პროგრესთან დაკავშირებით განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების გზით. სადოქტორო კოლოკვიუმში ხელს უწყობს სტუდენტს, წარმართოს კვლევა კვლევის გეგმის მიხედვით, მოახდინოს პერიოდული რეფლექსია და ანგარიშგება კვლევის შედეგებთან დაკავშირებით და სხვა; მომიჯნავე დარგების დოქტორანტებთან ერთად ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში; პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან, მათ შორის, კვლევის ხელმძღვანელისგან მიიღოს კონსტრუქციული უკუკავშირი კვლევის გაუმჯობესების მიზნით. კოლოკვიუმის სესიებში, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კვლევის შედეგებით (დეტალური ინფორმაცია კოლოკვიუმის შესახებ იხ. კოლოკვიუმის კონცეფციაში).

დოქტორანტმა აუცილებლად უნდა შეასრულოს სემესტრში ერთი კოლოკვიუმი.

სადოქტორო პროგრამის პირველი წლის განმავლობაში სადოქტორო კოლოკვიუმების ფარგლებში დოქტორანტები ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად მუშაობენ **პროსპექტუსზე**. პროსპექტუსი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე.

პროსპექტუსის მომზადების განმავლობაში დოქტორანტები:

- განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას სადისერტაციო კვლევისთვის;
- აკეთებენ რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შერჩეული საკითხის/პრობლემის შესახებ კვლევებზე დაფუძნებული უახლესი ცოდნის, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიების, მიდგომების და კონცეფციების ანალიზს/სინთეზს და შეფასებას;
- ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და კვლევის მეთოდოლოგიას;
- ადგენენ ბიბლიოგრაფიას და კვლევის გეგმას.

დასრულებულ პროსპექტუსს დოქტორანტი იცავს სადოქტორო კოლოკვიუმის ფარგლებში დარგობრივი კომისიის წინაშე სწავლების პირველი წლის ბოლოს.

ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის პროფესორების ორგანიზებით, ყოველ სემესტრში, იმართება **კვლევითი სემინარი ანთროპოლოგიაში**. კვლევითი სემინარების ფარგლებში მოწვეულნი არიან ადგილობრივი და საერთაშორისო მკვლევრები საკუთარი კვლევების წარსადგენად. დოქტორანტმა მონაწილეობა უნდა მიიღოს კვლევით სემინარში. მონაწილეობის მიღებით დოქტორანტი ეცნობა დარგში მიმდინარე უახლეს კვლევებს და ერთვებიან აკადემიურ დებატებში.

ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების და კვლევის ასისტირება (იხ. ასისტირების კონცეფცია). სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს და ატარებს სალექციო/სასემინარო კურსს ან უწევს ტუტორობას. კვლევის ასისტირების დროს დოქტორანტს შეიძლება მიეცეს შესაძლებლობა ჩაერთოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროცესებში და ამ მიზნით განახორციელოს ისეთი აქტივობები, როგორც არის ლიტერატურის მოძიება, კვლევის ახალი მეთოდების შემუშავებაში მონაწილეობა, შედეგების შეგროვება და ანალიზი და ა.შ.

ასისტირების სავალდებულო კრედიტების ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 6 კრედიტი შესაბამის აქტივობებში (იხ. ასისტირების კონცეფცია). ასისტირების კომპონენტის ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით ყოველ სემესტრულად დგინდება დოქტორანტის ასისტირების გეგმა (იხ. ასისტირების კონცეფცია), რომელიც წარედგინება ფაკულტეტს. ასისტირების აქტივობებში კრედიტების მინიჭება ხდება შეფასების შესაბამისი ფორმის წარდგენის საფუძველზე (იხ. ასისტირების კონცეფცია), მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ.

დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ **ორი სამეცნიერო სტატიისა**, მათ შორის მინიმუმ ერთი სტატია

გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue). სამეცნიერო პუბლიკაციაში დოქტორანტის ავილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული პუბლიკაციისადმი მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

ცოდნის საჯაროდ გავრცელების მიზნით, დოქტორანტს პროგრამის განმავლობაში ევალება მინიმუმ ერთ საერთაშორისო კონფერენციაში/ფორუმში მონაწილეობა.

კვლევის ეთიკა

სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის ეთიკურობის დამდგენი კომისია ადგენს სადოქტორო კვლევების შესაბამისობას კვლევის ეთიკის მოთხოვნებთან. ეთიკის კომისია შედგება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის 6 აკადემიური პერსონალისგან (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, საპატიო ემერიტუსი), ხოლო საკითხის განსახილველად საკმარისია 6 წევრიდან მინიმუმ 3 წევრის დადებითი შეფასება სადოქტორო კვლევის განხორციელებისთვის. კვლევის ეთიკასთან დაკავშირებული მოთხოვნების და პროცედურების შესახებ ინფორმაცია, გთხოვთ, იხილეთ დოკუმენტში „პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კვლევის ეთიკურობის დამდგენი კომისია“.

სადოქტორო პროგრამა სრულდება სადოქტორო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. სადოქტორო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადოქტორო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტში (იხ. სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია).

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა ითვალისწინებს 3-5 წელს (6-10 სემესტრი). იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ ასრულებს პროგრამის მოთხოვნებს 5 წლის დასრულების შემდეგ, მას უფორმდება დამატებითი ერთწლიანი ხელშეკრულება შესაბამისი პირობების გათვალისწინებით.

სწავლების მეთოდები

ანთროპოლოგიური კვლევის სპეციფიკური მოთხოვნებიდან და ამოცანათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის და სწავლების მეთოდების მრავალფეროვანი სპექტრი.

- ლექცია და სემინარი (ვერბალური და წერიტი მეთოდი);
- სუპერვიზია;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ანალიზისა და სინთეზის მეთოდი;
- ელექტრონული სწავლების ელემენტები;
- შემთხვევის ანალიზი;
- სავლე მუშაობა/ეთნოგრაფიული დაკვირვება;
- გონებრივი იერიში;
- კვლევისა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება.

შენიშვნა: პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში.

შეფასების წესი

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა;
- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომი შეფასდება შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლება.

„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს დასაქმება შეეძლებათ შესაბამისი პროფილის როგორც აკადემიურ, ასევე საჯარო და კერძო დაწესებულებებში:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- შესაბამისი პროფილის კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პროექტები;
- მუზეუმები და საგამომცემლო დაწესებულებები;
- მედია (ტელე, რადიო, ციფრული).

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Thomson Reuters, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა);
- უნივერსიტეტის სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტის და სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის კვლევითი ბაზები;
- სააუდიტორო/სამუშაო სივრცეები;
- შესაბამისი პროფილის კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტები, კერძოდ, მალმოს უნივერსიტეტის კავკასიის შესწავლის ცენტრი, ტრენტის უნივერსიტეტი, კენტის უნივერსიტეტი, კოლუმბიის უნივერსიტეტი;
- უნივერსიტეტის მულტიმედია ბიბლიოთეკა;
- Erasmus + გაცვლითი პროგრამები დოქტორანტებისთვის;
- არგუსი, Moodle და Turnitin-ის სისტემები;
- ლემან ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
- ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი;
- გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი;
- მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი;
- საერთაშორისო სადოქტორო სკოლა;
- კვლევების კოორდინაციის სამსახური;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების შესაძლებლობა.

სადოქტორო პროგრამის სემესტრული გეგმა						
კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	ლექტორი	საკონტაქტო საათების განაწილება	კრედიტი	სემესტრი გაზ/შემ	
სავალდებულო კურსები/კომპონენტები (36 კრედიტი)						
სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის თეორიები		ქეთევან გურჩიანი	30	12	x	
ფიქრისა და კვლევის ანთროპოლოგიური მეთოდები	სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის თეორიები	თამთა ხალვაში	30	12		x
ასისტირება		ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდუალური	6	x	x
Writing for Academic Publication		მაია როგავა	18	6		x
სადოქტორო კოლოკვიუმები		დოქტორანტის ხელმძღვანელი/ები		-	x	x
კვლევითი სემინარი ანთროპოლოგიაში		დოქტორანტის ხელმძღვანელი/ები		-	x	x
პროსპექტუსი				-		x
პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ 2 ტრენინგ კურსი		ტრენინგ კურსის შესაბამისი ტუტორი		-	x	x
სავალდებულო-არჩევითი კურსები (18 კრედიტი)						
Methods of Fieldwork		ფლორიან მიულფრიდი	31	6	x	
სამედიცინო ანთროპოლოგია		ელენე გავაშელიშვილი	30	6		x
რელიგიის ანთროპოლოგია		ნინო აბაკელია	32	6		x
ეკონომიკის ანთროპოლოგია		მარიამ დარჩიაშვილი	30	6		x
აფექტი: სხეულისა და განსხვავების ანთროპოლოგია		თამთა ხალვაში	32	6	x	
თანამედროვე თეორიული მიდგომები ანთროპოლოგიაში		ელენე გავაშელიშვილი	30	6		x

პოლიტიკური ანთროპოლოგია: ძირითადი დებატები (ENG)		ფლორიან მიულფრიდი	30	6		x
არჩევითი კურსები (6 კრედიტი)						
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი			ინდივიდ უალური	6	x	x
ასისტირება		ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინი ს პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდ უალური	6	x	x
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში		სოფიკო ლობჯანიძე	32	6		x
კავკასიის ანთროპოლოგია		ნინო აბაკელია	30	6		x
Surroundings: Approaches, Insights, and Challenges of Environmental Anthropology		სეზარ ენრიკე ხირალდო ჰერერა	48	6	x	
სადოქტორო ნაშრომი					x	x

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი			
	სახელი და გვარი	სტატუსი	ელექტრონული ფოსტა
1	თამთა ხალვაში	პროფესორი	tamta.khalvashi@iliauni.edu.ge
2	ქეთევან გურჩიანი	პროფესორი	ketevan_gurchiani@iliauni.edu.ge
3	ფლორიან მიულფრიდი	პროფესორი	florian.muehlfried@iliauni.edu.ge
4	მარიამ დარჩიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	mariam.darchiashvili@iliauni.edu.ge
5	ელენე გავაშელიშვილი	ასოცირებული პროფესორი	elene.gavashelishvili@iliauni.edu.ge
6	ნინო აბაკელია	საპატიო ემერიტუსი	nino_abakelia@iliauni.edu.ge
7	სეზარ ენრიკე ხირალდო ჰერერა	მოწვეული ლექტორი	cesgira@gmail.com
8	მაია როგავა	პროფესორი	maia.rogava@iliauni.edu.ge
9	სოფიკო ლობჯანიძე	პროფესორი	sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge